საქართველოში კვერცხის ინდუსტრიის განვითარების შეფასება

სარჩევი

შესავალი 2

I. შეფასების მეთოდოლოგია 3

1.1. შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი 3

1.3. იმპორტიორი კომპანიები 5

1.4. ექსპორტიორი ქვეყნები 5

1.5. ზიანის შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირება 5

II. კვერცხის ინდუსტრია საქართველოში 6

2.1. კვერცხის ადგილობრივი წარმოება 6

2.2. კვერცხის იმპორტის ანალიზი 11

III. ზიანის დადგენა 14

3.1. იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის დადგენა 14

3.2. ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენები 16

IV. ქათმის კვერცხის მსოფლიო ბაზარი 18

დასკვნა 23

სექტემბერი, 2022

შესავალი

ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ საქართველოს კონკურენციის სააგენტო პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა სასაქონლო ბაზრისთვის ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორულ მონიტორინგს.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის შემთხვევაში სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღებას წინ უნდა უძღოდეს შესწავლა, რომელსაც საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, როგორც შესწავლის ორგანო ახორციელებს. ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით განსახორციელებელი შესწავლა კომპლექსური პროცესია და იგი მოიცავს სამი ძირითადი ელემენტის დადგენას - უშუალოდ დემპინგური იმპორტის, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა და დემპინგურ იმპოტსა და ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის ანალიზს. თავის მხრივ, აღნიშნული სამი ელემენტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის დადგენა, რომელიც შესწავლის წესით განსაზღვრული 15 კრიტერიუმის შეფასების გზით ხორციელდება.

ადგილობრივი ინდუსტრიის განცხადებებისგან დამოუკიდებლად, სააგენტო საკუთარი ინიციატივით ახორციელებს სხვადასხვა ბაზრის შეფასებას სწორედ ზიანის ელემენტთან მიმართებით. აღნიშნული ბაზრების შერჩევა ხდება რამდენიმე წინაპირობაზე დაყდნობით, კერძოდ, ადგილობრივი წარმოების მნიშვნელოვანი მოცულობა, იმავე სექტორში იმპორტის არსებითი მოცულობის/წილის არსებობა და ანტიდემპინგური ღორნისძიებების პრაქტიკის არსებობა საერთაშორისო მასშტაბით (სხვა ქვეყნების მიერ შემოღებული) ინდუსტრიის შესაბამის სექტორში (განსაკუთრებით საქართველოში იმპორტის წყაროებთან მიმართებით).

აღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს ფრინველის სასურსათო კვერცხის წარმოების სექტორი, რომელიც შერჩეულ იქნა მონიტორინგის ობიექტად. წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს აღნიშნული პროდუქტის ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობას და ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან ტენდენციებს.

შენიშვნა: *წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში შიდა მოხმარების მიზნითაა შექმნილი. იგი ეყრდნობა სააგენტოსთვის საჯაროდ ხელმისწავდომ და საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, შესაბამისად იგი არ წარმოდგენს შესაბამისი სექტორის სრულყოფილ შეფასებას, რასაც სააგენტო უშუალოდ ანტიდემპინგური შესწავლის დროს შესაბამისი რესურსების გამოყენებით ახორციელებს.*

I. შეფასების მეთოდოლოგია

1.1. შესწავლის ობიექტი და მსგავსი პროდუქტი

საქართველოს ანტიდემპინგური კანონმდებლობით განსაზღვრული შესწავლა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის დადგენას;
- ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხის დადგენას;
- მიყენებულ ზიანსა და დემპინგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენას.

აღნიშნული სამი კომპონენტიდან, წარმოდგენილი მონიტორინგი მიმართულია ინდუსტრიისათვის მიყენებული ზიანის დადგენის ნაწილში, კვერცხის წარმოების სექტორის, შეფასებაზე.

ინდუსტრიისათვის მიყენებული ზიანის დადგენისათვის, პირველ რიგში, აუცლებელია შესწავლის ობიექტისა და მსგავსი პროდუქტის განსაზღვა. „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის („კანონი“)მიხედვით, შესწავლის ობიექტი განმარტებულია, როგორც იმპორტირებული პროდუქტი, რომელიც ექვემდებარება შესწავლას, ხოლო მსგავსი პროდუქტი წარმოადგენს შესწავლის ობიექტის იდენტურ პროდუქტს. ზიანის დადგენის ნაწილში, მსგავს პროდუქტად განისაზღვება ადგილობრივი მწარმოებელბის მიერ წარმოებული შესწავლის ობიექტის ყოველმხრივ მსგავის პროდუქტი.

მოცემული მონიტორინგისთვის **შესწავლის ობიექტად** განსაზღვრულია საქართველოში იმპორტირებული სასურსათო კვერცხი. პროდუქტის იმპორტის მაჩვენებელების ანალიზისთვის გამოყენებულია საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ექვსნიშნა კოდი. ინფორმაცია მოძიებულია მე-4 ჯგუფის „რძის პროდუქცია”, 0407 21 კოდის შინაური ქათმის კვერცხზე. **მსგავს პროდუქტად** განსაზღვრულია ადგილობრივი წარმოების სასურსათო კვერცხი.

ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის შეფასების მიზნით, გამოყენებულია სსიპ შემოსავლების სამსახურიდან („შემოსავლების სამსახური“) მოძიებული ინფორმაცია კვერცხის მწარმოებლების გაყიდვებთან დაკავშირებით. მონაცემები მოიცავს 2019-2021 წლების აპრილის, აგვისტოსა და დეკემბერის თვეებში განხორციელებულ ტრანზაქციებს. დამატებით, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობის 2021 წლის სტატისტიკური პუბლიკაცია.

წარმოდგენილი წყაროებიდან მოძიებული და დამუშავებულია შემდეგი ინფორმაცია:

- შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული კვერცხების რაოდენობაზე;
- შესწავლის პერიოდში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ გაყიდული კვერცხებიდან მიღებულ შემოსავლებზე;
- პროდუქტის საშუალო ღირებულებაზე;
- შეფასებულია 2019-2021 წლებში კვერცხით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები, იმპორტირებული კვერცხის რაოდენობა და საშუალო ღირებულება.
- დამატებით შეფასებულია 2022 წლის პირველი 7 თვის ტენდენციები ამ მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლების ადგილობრივი წარმოების მიერ სასურსათო კვერცხის ექსპორტი არ ფიქსირდება. შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობა მხოლოდ ადგილობრივი ბაზრის შეფასების საფუძველზე დადგინდება.

1.2. ადგილობრივი ინდუსტრია

2021 წლის შერჩეული 3 თვის მონაცემების მიხედვით, კვერცხის წარმოების მიმართულებით იდენტიფიცირებულია 10 კომპანია, მათ შორის:

კომპანია	საბაზრო წილი
შპს „ჩირინა“ („ბიუ ბიუ“)	
შპს „სართიჭალა“	
შპს „საგარეჯო 2009“	
შპს „საგარეჯო 2019“	
შპს „მესხეთის მეფრინველეობა“	
შპს „პატარძეული“	
შპს „კუმისი XXI“	
შპს „სავანეთი 99“	
შპს „პოულტრი ჯორჯია“ („კოდა“)	
შპს „დილის პროდუქტები“ („დილა“)	

ხაზგასასმელია, რომ 10 კომპანიიდან ოთხი ყველაზე დიდი კომპანია კვერცხის ადგილობრივი გაყიდვების 90%-ს მოიცავს. ესენია:

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს ბაზარზე მოქმედი მცირე ზომის საოჯახო მეურნეობების მიერ წარმოებული კვერცხის ქათმის კვერცხის ინტეგრირება მონაცემებში, რასაც თავის მხრივ არ გააჩნია გავლენა კვლევის შედეგებზე.

1.3. იმპორტიორი კომპანიები

2019-2021 წლების პერიოდში იმპორტიორი კომპანიების მიმართულებით, ბაზარზე იდენტიფიცირებულია 14 კომპანია, თუმცა 2021 წელს საქართველოში კვერცხის შემოტანა მხოლოდ 8 კომპანიაში ფიქსირდება, მათ შორის არიან:

კომპანია	ქვეყანა	საბაზრო წილი
	თურქეთი	58.6
	უკრაინა	15.0
	თურქეთი	13.4
	თურქეთი	4.6
	თურქეთი	4.2
	თურქეთი	4.2
	თურქეთი	<0.01
	არაბთა გაერთ. საამ.	<0.01

ყველაზე დიდი იმპორტიორი კომპანია თურქეთიდან, იმპორტირებული კვერცხის 60%-მდე ფარავს, ხოლო სამი ძირითადი იმპორტიორი, მთლიანი იმპორტის 87%-ს ახორციელებს.

1.4. ექსპორტიორი ქვეყნები

2021 წლის მონაცემებით კვერცხის იმპორტის მიმართულებით იდენტიფიცირებულია სამი ექსპორტიორი ქვეყანა. თუმცა, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან იმპორტირებულია იმდენად მცირე რაოდენობის კვერცხი (მთლიანი იმპორტის 0.001%-ზე ნაკლები), რომ განხილვას არ საჭიროებს. შესაბამისად, ბაზარზე წარმოდგენილია ორი ძირითადი ექსპორტიორი:

- თურქეთი - საბაზრო წილი მთლიან იმპორტში 85%;
- უკრაინა - საბაზრო წილი მთლიან იმპორტში 15%.

1.5. ზიანის შეფასების კრიტერიუმების იდენტიფიცირება

შერჩეული ინდუსტრიის მონიტორინგი ხორციელდება კანონის მე-14 მუხლისა და „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების („წესი და პროცედურები“) მე-16 მუხლით განსაზღვრული ზიანის დადგენის პრინციპების საფუძველზე. აღნიშნული სამართლებრივი აქტები განსაზღვრავს შესწავლის განხორციელების პროცესში ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული ზიანის დადგენის ძირითად ფაქტორებს, რაც მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას:

- დემპინგური იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის დადგენა;
- საბოლოო გავლენა ადგილობრივი ინდუსტრიაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის საქმიანობაზე ინფორმაცია წარმოდგენილია თითოეული წლის მხოლოდ სამ თვეზე, შეფასების ნაწილში ყურადღება გამახვილდება **იმპორტის მოცულობისა** და **ადგილობრივი გაყიდვების აბსოლუტური მაჩვენებლებისა და ტენდენციების** შეფასებაზე. ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის შედარების საფუძველზე, შეფასდება ორივე მხარის ზრდის/კლების ტენდენციები და დადგინდება ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის მოცულობის მნიშვნელობა.

პროდუქტის საშუალო ფასებზე დაყრდნობით, შედარდება ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული პროდუქტის ფასები, დადგინდება ფასების განვითარების ზრდის/კლების ტენდენციები.

მესამე მიმართულება კი ეთმობა ადგილობრივი ინდუსტრიის ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს. აღნიშნული ნაწილის მიზანია ადგილობრივი ინდუსტრიის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და ზიანის იდენტიფიცირება. ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის შესაფასებლად, განხილული იქნება ადგილობრივი გაყიდვების მოცულობა და მიღებული შემოსავლების ცვლილების დინამიკა, ზოგადად ბაზარზე არსებული კონკურენცია და ფასების ცვლილებაზე გავლენის მქონე ფაქტორები.

II. კვერცხის ინდუსტრია საქართველოში

2.1. კვერცხის ადგილობრივი წარმოება

2019-2021 წლების აპრილის, აგვისტოსა და დეკემბრის მონაცემების მიხედვით, ბაზარზე კვერცხის მწარმოებელი 10 კომპანია ფიქსირდება. ქვემოთ წარმოდგენილია 2019-2021 წლების სამი თვის მონაცემების მიხედვით საქართველოში კვერცხის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები (ცხრილი N1).

ცხრილი N1. კვერცხის ინდუსტრია საქართველოში, 2019-2021 წლები

	2019	2020	2021
კვერცხის საშუალო ფასი	0.29	0.30	0.41
გაყიდული კვერცხის რაოდენობა	118 423 851	134 562 403	117 834 673
მიღებული შემოსავლები	33 925 301	40 101 064	48 578 262

ცხრილი N1-ის მიხედვით, იკვეთება, რომ 2019-2021 წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი კვერცხის საშუალო ღირებულება. კერძოდ, ერთი კვერცხის ფასი, 2019 წელს 29 თეთრიდან, 2021 წლისათვის 41 თეთრამდეა მომატებული. **2019 -2020 წლებში იკვეთება კვერცხის ფასის 4%-იანი, ხოლო 2020-2021 წლებში 38%-იანი ზრდა.**

რაც შეეხება წარმოებული კვერცხის გაყიდვების მაჩვენებლებს, 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, გაყიდული კვერცხების რაოდენობა 14%-ით არის გაზრდილი. 2021 წელს ეს ტენდენცია არ არის შენარჩუნებული და ბაზარზე 12%-იანი კლება ფიქსირდება.

მიუხედავად აღნიშნული კლებისა, ფასების ზრდის საფუძველზე სტაბილურად მზარდია ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მიღებული შემოსავლები და 2019-2020 წლებში 18%-იანი, ხოლო 2020-2021 წლების პერიოდში 21%-იანი მატება ფიქსირდება.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ **2019-2020 წლებში ინდუსტრიის მიერ გაყიდული კვერცხების რაოდენობის მცირე კლების მიუხედავად, საშუალო ფასის ზრდის საფუძველზე, ამ პერიოდში ინდუსტრიის მდგომარეობა გაუმჯობესებულია.**

დამატებით საქართველოს სოფლის მეურნეობის 2021 წლის სტატისტიკურ პუბლიკაციაში წარმოდგენილი მონაცემების ანალიზისას, მნიშვნელოვანია 2019-2021 წლებში ბაზარზე კვერცხის სამომხმარებლო ფასების განვითარების, კვერცხის სასურსათო ბალანსების, ასევე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტებისა და სასურსათო მოხმარების საშუალო მაჩვენებლების განხილვა.

<u>ცხრილი N2. კვერცხის სამომხმარებლო ფასები</u>

	2019	**2020**	**2021**
ფასები	33.3	35.6	45.9
ფასების ინდექსი	102.8	105.8	126.3

ცხრილი N2-ში იკვეთება, რომ კვერცხის სამომხმარებლო ფასის განვითარების ტენდენცია მიყვება ადგილობრივი წარმოების ზრდის ტენდენციას. 2020 წელს წინა წელთან შედარებით, კვერცხის ღირებულება 6%-მდე ხოლო, 2020-2021 წლების პერიოდში 26%-ით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი, 2021 წელს ადგილობრივი წარმოების კვერცხის საბითუმო ფასების ზრდის 38%-იან მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად მცირეა.

ცხრილი N3-ში წარმოდგენილია საქართველოში კვერცხის ბაზრის ბალანსი. ამ ნაწილში, ინფორმაცია მოცემულია, როგორც სასურსათო, ასევე საინკუბაციო კვერცხების მოხმარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ 2019-2020 წლების პერიოდში საქართველში კვერცხის მთლიანი მოხმარების 94-96% სასურსათო კვერცხზეა მიმართული.

<u>ცხრილი N3. კვერცხის ბალანსი, 2019-2021 წლები (მლნ. ცალი)</u>

	2019	**2020**	**2021**
ადგილობრივი წარმოება	661	675	655
იმპორტი	32	28	17
საინკუბაციოდ	40	40	39
სასურსათო მოხმარება	**632**	**639**	**614**
დანაკარგი	14	14	13
ექსპორტი	5	9	5
მარაგებს შორის სხვაობა	3	1	1

2019-2020 წლებში ფიქსირდება კვერცხის მოხმარების ზრდის, ხოლო 2020-2021 წლებში კლების დინამიკა, რაც შერჩეული სამი თვის მონაცემების ტენდენციის მსგავსია, თუმცა

აღნიშნული ცვლილების მასშტაბი საგრძნობლად დაბალია. 2020 წელს, საქართველოში სასურსათო კვერცხის მთლიანი მოხმარების 3%-იანი ზრდა, ხოლო 2021 წელს 4%-იანი კლება ფიქსირდება. ასევე, შედარებით სტაბილურია ინდუსტრიის დანაკარგებისა და მარაგებს შორის სხვაობის მაჩვენებლები. 2020 წელს მარაგების შემცირება, ხოლო 2021 წელს დანაკარგების მცირე კლება ფიქსირდება.

ინდუსტრიის ზოგადი შეფასების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდუალურად კომპანიების საქმიანობის ანალიზი და ამ მიმართულებით ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირება. ცხრილი N4-ში წარმოდგენილია ინფორმაცია ძირითადი კომპანიების მიერ გაყიდული კვერცხების მოცულობასა და მათ საბაზრო წილებზე წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული საანგარიშო თვეებისათვის.

<u>ცხრილი N4. კვერცხის ინდუსტრიის განვითარება კომპანიების მიხედვით</u>

კომპანია	**2019**		**2020**		**2021**	
	რაოდენობა	% წილი	რაოდენობა	% წილი	რაოდენობა	% წილი
	206 580	0.2	615 840	0.5	427 080	0.4
	2 761 200	2.3	-		1 559 160	1.3
	6 421 680	5.4	3 996 000	3.0	1 813 320	1.5
	-		10 032 120	7.5	2 459 160	2.1
	3 621 640	3.1	3 408 761	2.5	2 524 793	2.1
	9 621 260	8.1	6 956 920	5.2	4 941 500	4.2
	25 233 138	21.3	1 8034 237	13.4	18 496 716	15.7
	8 237 353	7.0	27 599 554	20.5	25 388 595	21.5
	30 668 583	25.9	29 836 306	22.2	30 097 738	25.5
	29 156 937	24.6	31 440 005	23.4	30 126 611	25.6
	2 495 480	2.1	2 642 660	2.0	-	

აღნიშნული სამი წლის პერიოდში, ყველაზე დიდი კომპანიების -

- საბაზრო წილები მეტ-ნაკლებად სტაბილურია. ამავდროულად, შპს „კუმისი"-ს წილი მთლიან გაყიდვებში არის შემცირებული, კლება ფიქსირდება შპს „საგარეჯო"-სა და შპს „პატარძეული"-ს მიერ განხორციელებულ გაყიდვებში. ხოლო შპს „სავანეთი"-ს საბაზრო წილი არის გაზრდილი.

ბაზარზე წილების გადანაწილების გარდა, ასევე, საინტერესოა იმის დადგენა, განსხვავდება თუ არა პროდუქტის საშუალო ღირებულება კომპანიებს შორის. ცხრილი N5-ში

წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში კვერცხის საშუალო ღირებულება კომპანიების მიხედვით.

ცხრილი N5. კვერცხის ფასი კომპანიების მიხედვით

კომპანია	**2019**	**2020**	**2021**
	0.17	0.17	0.24
	0.23	0.22	0.31
	-	0.20	0.30
	0.22	-	0.31
	0.22	0.23	0.33
	0.24	0.24	0.34
	0.30	0.32	0.42
	0.24	0.31	0.41
	0.32	0.33	0.44
	0.30	0.32	0.43
	0.21	0.20	-
საშუალო ღირებულება	**0.29**	**0.30**	**0.41**

კომპანიების ფასების შედარებისას იკვეთება, რომ შესწავლის პერიოდში ყველა კომპანიის მიერ გაყიდული კვერცხის საშუალო ღირებულება სტაბილურად მზარდია. ამასთანავე, მკვეთრია ბაზარზე დიდ კომპანიებსა და შედარებით მცირე გაყიდვების მქონე კომპანიების ფასებს შორის განსხვავება. ყველაზე დაბალი ფასი უფიქსირდება, რომლის ფასიც ბაზარზე არსებულ საშუალო ღირებულებაზე 40%-ით დაბალია. ყველაზე მაღალი ფასები კი 4 ძირითად კომპანიას

უფიქსირდებათ. დანარჩენი კომპანიების ფასები ბაზარზე არსებულ საშუალო ღირებულებაზე 20-25%-ით დაბალია.

ადგილობრივი მწარმოებლების საქმიანობის შეფასებასთან ერთად, ინდუსტრიის მდგომარეობის ანალიზისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია სეზონურად, ადგილობრივი წარმოების კვერცხზე ბაზარზე არსებული მოთხოვნის შეფასება და შესაბამისი ფასების ცვლილების ტენდენციების დადგენა. ცხრილი N6-ში წარმოდგენილია ინფორმაცია, 2019-2021 წლების აპრილში, აგვისტოსა და დეკემბერში, ადგილობრივი მწარმოებლების გაყიდვებზე, შემოსავლებსა და საშუალო ფასებზე.

ცხრილი N6. კვერცხის ინდუსტრია თვეების მიხედვით

კვერცხის საშუალო ფასი			
	2019	**2020**	**2021**
აპრილი	0.28	0.31	0.39
აგვისტო	0.28	0.28	0.42
დეკემბერი	0.30	0.31	0.44

გაყიდული კვერცხის რაოდენობა			
აპრილი	46 440 323	41 177 830	46 169 561
აგვისტო	31 472 983	40 321 228	25 174 494
დეკემბერი	40 510 545	53 063 345	46 490 618
მიღებული შემოსავლები			
აპრილი	12 843 734.06	12 654 934.11	17 780 864.08
აგვისტო	8 940 426.13	11 109 547.75	10 523 539.88
დეკემბერი	12 141 140.54	16 336 581.75	20 273 857.53

ცხრილი N6-ის მიხედვით, სამივე წლის მონაცემებით, კვერცხის შედარებით მაღალი ღირებულება დეკემბრის თვეში იკვეთება. თვეების მიხედვით, ფასებს შორის განსხვავებებზე სხვა მკვეთრი ტენდენცია წარმოდგენილი მონაცემებით არ ფიქსირდება. რაც შეეხება ბაზარზე ადგილობრივი წარმოების კვერცხებზე მოთხოვნის ცვლილების საკითხებს, ამ მიმართულებით ხაზგასასმელია, რომ მოთხოვნის შედარებით მაღალი მაჩვენებლები აპრილისა და დეკემბრის თვეებში იკვეთება. ეს განსხვავება ძალიან მკვეთრია 2021 წელს, კერძოდ, სამივე თვის გაყიდვების დაახლოებით 20% მოდიოდა აგვისტოს თვის გაყიდვებზე, ხოლო დანარჩენი ორი თვე 40-40% შეადგენდა. დაახლოებით მსგავსია 2019 წლის ტენდენციაც, სადაც ყველაზე მაღალი მოთხოვნა აპრილში ფიქსირდება. 2020 წელს კი დეკემბრის თვე სტაბილურად სამივე თვის გაყიდვების დაახლოებით 40%-ს მოიცავს, თუმცა ამ წელს, სხვა წლებთან შედარებით, აპრილისა და აგვისტოს განაწილება თანაბარია.

<u>დიაგრამა N1. ინდუსტრიის შემოსავლები თვეების მიხედვით</u>



2.2. კვერცხის იმპორტის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია 2019-2021 წლებში საქართველოში კვერცხის იმპორტის განვითარების ტენდენციები. აღნიშნული სექტორის შეფასების მიზნით, განხილულია იმპორტის მოცულობის აბსოლუტური ზრდა და შეფასებულია წლების განმავლობაში ფასების ცვლილება. ასევე, გაანალიზებულია ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების საბაზრო წილების ტენდენციები და მათ მიერ იმპორტირებული პროდუქტის ფასები. დამატებით, 2022 წლის დინამიკის ანალიზისთვის წარმოდგენილია პირველი შვიდი თვის მონაცემების შეფასება, რომელიც შედარებულია წინა წლების შესაბამის პერიოდთან.

ცხრილი N7. ქათმის კვერცხის იმპორტი საქართველოში, 2019-2021 წლები

	2019	**2020**	**2021**
კვერცხის საშუალო ფასი	0.17	0.16	0.20
გაყიდული კვერცხის რაოდენობა	24 267 600	16 810 640	8 010 100
მიღბული შემოსავლები	4 053 721	2 761 097	1 621 808

ცხრილი N7-ში წარმოდგენილია, 2019-2021 წლებში არაინკუბირებისთვის იმპორტირებული ქათმის კვერცხის საშუალო ღირებულება, მოცულობა და მიღებული შემოსავლები. აღსანიშნავია, რომ კვერცხის ღირებულება 2019-2020 წლებში მცირე კლების შემდეგ, 2021 წელს მომატებულია და 2020 წელთან შედარებით, კვერცხის საშუალო ღირებულება 23%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება იმპორტის მოცულობის დინამიკას, ამ მიმართულებით იკვეთება უარყოფითი დინამიკა და ყოველწლიურად იმპორტირებული კვერცხის რაოდენობა მცირდება. 2019-2020 წლებში ფიქსირდება 31%-იანი, ხოლო 2020-2021 წლებში 52%-იანი კლება. იმპორტირებული საქონლის რაოდენობის კლების შესაბამისად, ასევე, შემცირებულია ექსპორტიორი კომპანიების მიერ კვერცხის გაყიდვით მიღებული შემოსავალიც. 2020 წელს წინა წელთან შედარებით 32%-იანი, ხოლო 2021 წელს 41%-იანი კლებაა.

ცხრილი N8. კვერცხის იმპორტის მოცულობა ქვეყნების მიხედვით, 2019-2021 წლები

	2019		**2020**		**2021**	
	რაოდენობა	% წილი	რაოდენობა	% წილი	რაოდენობა	% წილი
თურქეთი	1 422 000	5.9	7 191 440	42.8	6 807 690	85.0
უკრაინა	22 845 600	94.1	9 619 200	57.2	1 202 400	15.0
არაბთა გაერთ. საამ.	-	-	-	-	10	0.0
სულ	**24 267 600**		**16 810 640**		**8 010 100**	

ზემოთ მოცემული ცხრილი N8-ის მიხედვით, იკვეთება, რომ 2019-2021 წლებში მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების საბაზრო წილებიც. როგორც უკვე აღინიშნა, ქათმის კვერცხის იმპორტი ძირითადად ორი ქვეყნიდან, თურქეთიდან და უკრაინიდან ხორციელდება. ხაზგასასმელია, რომ საგრძნობლად არის შემცირებული უკრაინიდან იმპორტირებული კვერცხის რაოდენობა და შესაბამისად, ქვეყნის

საბაზრო წილიც მთლიან იმპორტში. 2019 წელს უკრაინაზე მოდიოდა იმპორტირებული კვერცხის 94%, ეს მაჩვენებელი 2021 წლისათვის 15%-მდე შემცირდა. ამის საპირისპიროდ, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თურქეთიდან იმპორტირებული კვერცხის მოცულობა და 2019 წელს ბაზრის 6%-დან, 2021 წელს იმპორტი 85%-მდე გაიზარდა.

<u>დიაგრამა N2. იმპორტირებული კვერცხის საშუალო ღირებულება ქვეყნების მიხედვით, 2019-2021 წლები</u>



დიაგრამა N2-ში მოცემულია 2019-2021 წლებში იმპორტირებული კვერცხის ფასების განვითარების დინამიკა ქვეყნების მიხედვით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ 3 წლის განმავლობაში, თურქეთიდან იმპორტირებული კვერცხის ფასი მნიშვნელოვნად უფრო დაბალია უკრაინიდან იმპორტირებული კვერცხის ღირებულებაზე. 2019 წელს ფასებს შორის 24%-იანი სხვაობა ფიქსირდება, 2021 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი 35% აღწევს. ზოგადი ტენდენციის შესაბამისად, მოცემულ პერიოდში, როგორც თურქეთიდან, ასევე უკრაინიდან იმპორტირებული კვერცხის საშუალო ღირებულება გაზრდილია. 2019-2021 წლებში მთლიანად იმპორტირებული კვერცხის საშუალო ღირებულების 18%-იანი ზრდის მაჩვენებლისგან განსხვავებით, თურქეთიდან იმპორტირებული კვერცხის ღირებულება 46%-ით, ხოლო უკრაინიდან იმპორტირებული კვერცხის ღირებულება 70%-ით არის გაზრდილი.

რაც შეეხება ექსპორტიორი ქვეყნების მიერ საქართველოს ბაზარზე გაყიდული პროდუქტით მიღებულ შემოსავლებს, დიაგრამა N3-ში წარმოდგენილია 2019-2021 წლების მონაცემები ამ მიმართულებით.

<u>დიაგრამა N3. იმპორტირებული საქონლის ღირებულება ლარში, 2019-2021 წლები</u>



დიაგრამა N3-ის მიხედვით, შემოსავლების ცვლილების ტენდენციები საბაზრო წილების გადანაწილების დინამიკას მიყვება, თუმცა უკრაინაში, შედარებით მაღალი ფასიდან გამომდინარე, 2021 წელს ექსპორტიორი ქვეყნების მოცულობებს შორის სხვაობასთან შედარებით დაბალია. 2021 წელს იმპორტირებულ კვერცხში გადახდილი ღირებულების 79% თურქეთიდან შემოტანილ, ხოლო 21% უკრაინიდან შემოტანილ კვერცხს მიემართა.

2019-2021 წლებში იმპორტირებული კვერცხის დინამიკის შეფასებასთან ერთად, ასევე, საინტერესოა 2022 წლის პირველი 7 თვის მაჩვენებლების მიმოხილვა და წინა წლების შესაბამის პერიოდებში არსებულ მონაცემებთან შედარებით ძირითადი ტენდენციის იდენტიფიცირება. ცხრილი N9-ში მოცემულია 2019-2022 წლების იანვარი-ივლისის თვეების მონაცემები, იმპორტირებული კვერცხის მოცულობასა და საშუალო ღირებულებაზე.

ცხრილი N9. კვერცხის იმპორტი საქართველოში, 2019-2022 იანვარი-ივლისი

წელი	**ღირებულება ლარი**	**გაყიდული კვერცხის რაოდენობა**	**ერთი კვერცხის ფასი**
2022	**213 593**	**2 030 400**	0.11
2021	188 575	1 098 090	0.17
2020	2 761 097	16 810 640	0.16
2019	1 496 223	9 738 000	0.15

ცხრილი N9-ის მიხედვით, ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად იკვეთება იმპორტირებული კვერცხის მოცულობის ზრდის ტენდენცია. 2022 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში იმპორტირებული კვერცხის რაოდენობა 13%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის პერიოდს. ამასთანავე, წინა წლების მსგავს მაჩვენებელთან შედარებით დაბალია კვერცხის საშუალო ღირებულებაც.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ **2022 წელს იმპორტირებული კვერცხის რაოდენობის ზრდის მიუხედავად, 2019 წლიდან მოყოლებული, იმპორტირებული კვერცხის ბაზარზე უარყოფითი ტენდენცია იკვეთება.** ამ მიმართულებით ხაზგასასმელია, რომ **მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმპორტირებული კვერცხის მოცულობა** და **საქართველოს ბაზარზე განხორციელებული გაყიდვებით მიღებული შემოსავლები.** ამავდროულად,

მსოფლიოში არსებული ტენდენციის შესაბამისად, **გაზრდილია კვერცხის საშუალო ღირებულება.** გამონაკლისი ამ მიმართულებით მხოლოდ 2022 წლის პირველი 7 თვის მონაცემების მაჩვენებლებია, რომლის მიხედვითაც, კვერცხის საშუალო ღირებულება სამი წლის მინიმუმზე 11 თეთრზეა ჩამოსული.

III. ზიანის დადგენა

3.1. იმპორტის მოცულობისა და ფასებზე გავლენის დადგენა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობის 2021 წლის სტატისტიკურ პუბლიკაციაში წარმოდგენილი მონაცემებისა და სასურსათო კვერცხის იმპორტის მაჩვენებელების შედარების საფუძველზე, ცხრილი N10-ში განსაზღვრულია, 2019-2021 წლებში, საქართველოში სასურსათო კვერცხის მთლიანი მოხმარების მაჩვენებელებისა და შესაბამისად ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის საბაზრო წილების დინამიკა.

ცხრილი N10. სასურსათო კვერცხის მოხმარება საქართველოში, 2019-2021 წლები (მლნ. ცალი)

	2019	2020	2021
სასურსათო მოხმარება	**632**	**639**	**614**
ადგილობრივი წარმოება	**608**	**622**	**606**
ადგ. წარმოების საბაზრო წილი	**96.2**	**97.3**	**98.7**
იმპორტი	**24**	**17**	**8**
იმპორტის საბაზრო წილი	**3.8**	**2.7**	**1.3**

ცხრილი N10-ის მიხედვით, 2019-2021 წლებში ადგილობრივი წარმოების კვერცხი, საქართველოში არსებული მთლიანი მოთხოვნის 96-99%-ს აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სამი წლის განმავლობაში სტაბილურად მზარდია ადგილობრივი წარმოების საბაზრო წილი. 2020-2021 წლების პერიოდში, გაყიდული კვერცხების მოცულობის კლების მიუხედავად, საბაზრო წილი ზრდა, კვერცხზე მოთხოვნის ზოგადი კლების მანიშნებელია. ამავე პერიოდში შემცირებულია იმპორტის მაჩვენებლებიც, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივი წარმოების შემცირება არ არის დაკავშირებული კვერცხის იმპორტით განპირობებული ზიანით.

ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული პროდუქტის გაყიდვებით მიღებული შემოსავლების ანალიზის მიმართულებით, ქვემოთ მოცემულ ცხრილი N11-ში წარმოდგენილია კვერცხების იმპორტიორებისა და ადგილობრივი მწარმოებლების მიერ პროდუქტის გაყიდვებით მიღებული შემოსავლების დინამიკა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ წარმოებაზე მხოლოდ აპრილის, აგვისტოსა და დეკემბრის თვეებზე მოცემული მაჩვენებლების გამოყენებით, ბაზარზე არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით, მოვახდენთ მონაცემების ზოგად შედარებასა და ამ მიმართულებით

ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირებას. ზიანის დადგენის ამ ნაწილში გათვალისწინებულია მაჩვენებლების ზრდის მხოლოდ აბსოლუტური მაჩვენებლები.

ცხრილი N11. ადგილობრივი მწარმოებლების და იმპორტიორების შემოსავლები , 2019-2021 წლები

	2019	2020	2021
ადგილობრივი ინდუსტრია	33 925 301	40 101 064	48 578 262
იმპორტი	4 053 721	2 761 097	1 621 808

ცხრილი N11-ში კიდევ უფრო მკვეთრი განსხვავება ფიქსირდება ადგილობრივი ინდუსტრიისა და ექსპორტიორი ქვეყნების მიერ მიღებული შემოსავლების შედარებისას. მოხმარების მთლიანი მოცულობის კლების შესაბამისად, 2021 წელს შემცირებულია, როგორც იმპორტირებული, ასევე ადგილობრივად წარმოებული კვერცხების მოცულობები. ამასთანავე, იმპორტზე გადახდილი თანხების ყოველწლიური კლების პარალელურად, ადგილობრივი ინდუსტრიის შემოსავლები ყოველწლიურად მზარდია. 2019-2021 წლების პერიოდში, სასურსათო კვერცხის იმპორტით მიღებული შემოსავლები 60%-მდეა შემცირებული, ხოლო ადგილობრივი ინდუსტრიის სამი თვის მონაცემებით, ამ პერიოდში, კვერცხის გაყიდვებით მიღებული შემოსავლების 43%-იანი მატება ფიქსირება.

ზიანის შეფასებისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული პროდუქტის ფასების შედარება წარმოადგენს.

დიაგრამა N4. ადგილობრივ წარმოების და იმპორტირებული კვერცხის საშუალო ღირებულება, 2019-2021 წლები



დიაგრამა N4-ის მიხედვით, 2019-2021 წლებში, როგორც იმპორტირებული, ასევე საქართველოში წარმოებული კვერცხის ღირებულება გაიზარდა. აღნიშნული ზრდა, ზოგადად, მსოფლიო ბაზარზე კვერცხის წარმოების ხარჯების ზრდით არის განპირობებული.

ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების მიზნით განსახორციელებელი შესწავლის წარმოების პროცესში ფასებზე გავლენის დადგენის ნაწილი სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. პირველი დაკავშირებულია იმპორტისა და ადგილობრივი

წარმოების ფასების შედარებასთან და მიზნად ისახავს იმის დადგენას, არის თუ არა იმპორტირებული პროდუქტის ფასი ადგილობრივ წარმოებაზე დაბალი(1). შემდეგ ხდება ადგილობრივი წარმოების ფასების კლების ტენდენციის შეფასება (2) და საბოლოოდ იმის დადგენა, ხომ არ ახდენს დემპინგური ფასები ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტზე ფასების ზრდის შეფერხებას (3).

ამ სამი მიმართულების გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ კვერცხის ინდუსტრიის შეფასების პროცესში მხოლოდ პირველი წინაპირობა სრულდება. უფრო მეტიც, ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული პროდუქტის ფასი ადგილობრივი ბაზრის საშუალო ფასზე ორჯერ დაბალია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ფასები დემპინგურია, ანუ ნაკლებია პროდუქტის ნორმალურ ღირებულებაზე. დანარჩენი ორი მიმართულების შეფასება ცხადყოფს, რომ ინდუსტრიის ფასებს ზიანი არ ადგება. ბაზარზე არ ფიქსირდება ადგილობრივი ინდუსტრიის ფასების კლება. ასევე, ნათელია, რომ იმპორტის დაბალი ფასი არ აბრკოლებს ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულების ზრდას.

3.2. ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენები

ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენების ანალიზისათვის განხილულია მწარმოებლების გაყიდვებისა და შემოსავლების ცვლილების დინამიკა, შეფასებულია ბაზარზე უცხოელ და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კონკურენცია, ასევე, პროდუქტის საშუალო ღირებულება და ფასების დონეზე მოქმედი ზოგადი ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში წარმოებული კვერცხის ექსპორტი არ ფიქსირდება, შესაბამისად ადგილობრივი ინდუსტრიის მდგომარეობის შეფასების პროცესში, ეს კომპონენტი არ იქნება გათვალისწინებული. დამატებით, ადგილობრივი ინდუსტრიის საქმიანობის შეფასებისთვის გამოყენებულია ინფორმაცია შესაბამისი კომპანიების მიერ დასაქმებულ პირთა რაოდენობასა და მათ ხელფასებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წელს ადგილობრივი წარმოების მიერ გაყიდული პროდუქტის მოცულობის შემცირების მიუხედავად, ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მიღებული შემოსავლები სამივე წლის განმავლობაში სტაბილურად მზარდია. 2019 წელს 33 მილიონი ლარიდან 2021 წლისთვის ინდუსტრიის შემოსავალი 49 მილიონ ლარამდე გაიზარდა. დიაგრამა N5-ის მიხედვით, შესწავლის პერიოდში უარყოფითი ტენდენცია მხოლოდ 2021 წელს, წინა წელთან შედარებით 12%-იანი კლების მიმართულებით ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მონაცემების 2019 წლის მონაცემებთან შედარებისას იკვეთება, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის გაყიდვები მთლიან პერიოდზე უმნიშვნელოდ, 0.5%-ით არის შეცვლილი.

<u>დიაგრამა N5. კვერცხის ადგილობრივი გაყიდვებით მოცულობა და ღირებულება, 2019-2021 წლები</u>



რაც შეეხება ფასების ცვლილების დინამიკას, 2019 წლიდან სტაბილურად მზარდია საქართველოში წარმოებული კვერცხის საშუალო ღირებულება და 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით 44%-ით არის გაზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტენდენცია მსოფლიო ბაზარზეც ფიქსირდება, 2019-2021 წლების პერიოდში აღნიშნულმა ზრდამ 5%-მდე შეადგინა (იხ.თავი IV).

ადგილობრივი ინდუსტრიისათვის დემპინგური იმპორტით ზიანის მიყენების შეფასებებისათვის აუცილებელია ბაზარზე იმპორტირებული პროდუქტის მნიშვნელობის დადგენა და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ეს პროდუქტი. ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ მოხმარების 99%-ის დაკმაყოფილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ იმპორტირებულ პროდუქტს, მიუხედავად დაბალი ფასისა, ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ზიანის მიყენებისათვის ბაზარზე არასაკმარისად მნიშვნელოვანი პოზიცია აქვს.

დამატებით მნიშვნელოვანია კომპანიების მიერ დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და ხელფასების ცვლილებების დინამიკის დადგენა. ცხრილი N12-ში წარმოდგენილია ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა და მათზე გაცემული საშუალო ხელფასების ტენდენციები.

ცხრილი N12. მწარმოებლების დასაქმებისა და ხელფასების მაჩვენებლები, 2019-2021 წლები

	2019	2020	2021
დასაქმებულის ყოველთვიური საშუალო ხელფასი	1047	1107	1227
ინდუსტრიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	1 384	1 446	1 492

ცხრილი N12-ის მიხედვით, 2019-2021 წლების პერიოდში, კომპანიების მიერ გაცემული საშუალო ხელფასები მზარდია. 2020 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ხელფასი 60 ლარით, 6%-მდეა გაზრდილი, ხოლო 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 220 ლარი, 11% შეადგინა.

შესწავლის პერიოდში, ასევე, გაიზარდა ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა. 2019-2021 წლებში, დასაქმებულთა რიცხვს საშუალოდ 108 ადამიანი დაემატა.

IV. ქათმის კვერცხის მსოფლიო ბაზარი

ქათმის კვერცხის წარმოება მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი ინდუსტრიაა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქათმის კვერცხის წარმოება საგრძნობლად გაიზარდა და მას წამყვანი როლი უჭირავს სასურსათო უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ბაზრებზე.

2022 წლის ივლისის თვის მონაცემებით ქათმის კვერცხის მსოფლიო მოხმარებამ 110 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 8.91%-ით მეტია. ქათმის კვერცხის მსოფლიო მოხმარება ყოველწლიურად იზრდება, მაგალითად, 2017 წლიდან 2022 წლამდე მონაცემები 31% არის გაზრდილი.

ცხრილი N 13. ქათმის კვერცხის მსოფლიო მოხმარება

წელი	თანხა
2017	$ 83.96 მილიარდი
2018	$ 88.01 მილიარდი
2019	$ 90.20 მილიარდი
2020	$ 93.96 მილიარდი
2021	$ 101.00 მილიარდი
2022	$ 110.00 მილიარდი

წყარო: statista.com

დიაგრამა N6. ქათმის კვერცხის გლობალური ბაზარი წლების მიხედვით



წყარო: statista.com

რაც შეეხება მსოფლიოს მასშტაბით წარმოებული ქათმის კვერცხის რაოდენობას, 2022 წლის ივლისის თვის მონაცემებით 43 478 მილიონი კილოგრამი ქათმის კვერცხი იყო

ნაწარმოები და ეს რაოდენობა კი წინა წელთან შედარებით 3.3%-ით მეტია. ქათმის კვერცხის წარმოების მაჩვენებლებიც შესაბამისად ყოველწლიურად იზრდება, 2017 წლის მონაცემებთან შედრებით 2022 წელს წარმოება 34.9%-ით არის გაზრდილი.

<u>დიაგრამა N7. მსოფლიო მასშტაბით ქათმის კვერცხის წარმოების მოცულობა</u>



<u>წყარო: statista.com</u>

ქათმის კვერცხის ყველაზე დიდი რაოდენობა აზიაში იწარმოება, მას წარმოების მასშტაბით მოჰყვება ლათინური ამერიკა, ჩრდილოეთ ამერიკა და ევროპა. ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლოს მასშტაბით ქათმის კვერცხის უმსხვილესი მწარმოებელი ქვეყანა ჩინეთია.

2020 წლის მონაცემებით ჩინეთში წარმოებულმა კვერცხის რაოდენობამ 29.82 მილიონი ტონა შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 4.82%-ით მეტია, ხოლო თუ გადავხედავთ ჩინეთის ქათმის კვერცხის წარმოებას წლების მიხედვით, ბოლო 5 წელში 15.2%-იანი ზრდა შეინიშნება. კვერცხის წარმოების რაოდენობის მიხედვით ჩინეთს მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატები 6.61 მილიონი ტონით, შემდგომ ინდოეთი 6.29 მილიონი ტონით, ინდონეზია 5.04 მილიონი ტონით, ბრაზილია 3.26 მილიონი ტონით, მექსიკა 3.02 მილიონი ტონით, იაპონია 2.63 მილიონი ტონით, რუსეთი 2.49 მილიონი ტონით, თურქეთი 1.24 მილიონი ტონით და მე-10 ადგილს კი მსოფლიო წარმოებაში საფრანგეთი იკავებს წარმოებული 984.64 ათასი ტონით. თუ გადავხედავთ აღნიშნული ქვეყნების ბოლო წლების ქათმის კვერცხის წარმოებას თითოეული მათგანის მონაცემები წინა წლებთან შედარებით არის გაზრდილი. ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით წარმოებაში ყველაზე დიდი ზრდა აქვს ინდონეზიას 267.45%, ინდოეთს 45.76% და ბრაზილიას 44.23%.

<u>ცხრილი N14. ქათმის კვერცხის მწარმოებელი ტოპ 10 ქვეყნის წარმოების მიმოხილვა</u>

	ქვეყანა	წარმოება 2020	პროდუქტის რაოდენობა (ტ.) 2020	რაოდენობის 1 წლიანი ზრდა	რაოდენობის 3 წლიანი ზრდა	რაოდენობის 5 წლიანი ზრდა
1	ჩინეთი	34.82%	29.82 მლნ	4.82%	12.27%	15.2%
2	აშშ	7.71%	6.61 მლნ	1.48%	4.05%	14.79
3	ინდოეთი	7.34%	6.29 მლნ	0.01%	29.8%	45.76%
4	ინდონეზია	5.89%	5.04 მლნ	6.12%	8.88%	267.45%
5	ბრაზილია	3.81%	3.26 მლნ	3.52%	13.12%	44.23%
6	მექსიკა	3.52%	3.02 მლნ	2.24%	8.83%	13.7%
7	იაპონია	3.07%	2.63 მლნ	-0.26%	1.22%	4.44%
8	რუსეთი	2.91%	2.49 მლნ	0.03%	0.34%	5.73%
9	თურქეთი	1.44%	1.24 მლნ	-0.55%	2.63%	18.3%
10	საფრანგეთი	1.15%	984.64 ათას	6.28%	12.16%	1.51%
11	საქართველო	0.05%	44.18 ათას	2.01%	12.4%	12.22%

წყარო: tridge.com

ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზარზე ქათმის კვერცხის ფასის ტენდენციური ზრდა შეინიშნება. 2021 წელს კვერცხის ფასი 10 ცალისთვის 2.4 აშშ დოლარია, რაც წინა წელთან შედარებით 3.9%-ით მეტია. 2022 წელს კი ფასი უფრო მაღალია და 2.53 აშშ დოლარს შეადგენს, რაც 2021 წელთან შედარებით 5.42%-ით მეტია. ამის მთავარი მიზეზი ქათმის საკვებ კომპონენტებზე ფასის მკვეთრი ზრდაა, რაც რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომს უკავშირდება. ქათმის საკვებ კომპონენტები მოიცავს სოიას, მზესუმზირის ფქვილს (მზესუმზირის ზეთის ქვეპროდუქტი) და ხორბალს. აღნიშნული პროდუქტების, კერძოდ, მზესუმზირის ზეთისა და ხორბლის მთავარი მწარმოებლები კი რუსეთი და უკრაინა არიან.

დიაგრამა N8. ქათმის კვერცხის ფასი მსოფლიო ბაზარზე 2017-2022



წყარო: statista.com

ქათმის კვერცხის ყველაზე დიდი რაოდენობის ექსპორტს ნიდერლანდები ახორციელებს, მისმა ექსპორტმა 2021 წელს 515.42 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. ნიდერლანდების წილი ქათმის კვერცხის მსოფლიო ექსპორტში 24.56%-ია. მას მოსდევს თურქეთი 10.12%-იანი წილით, რაც 212.39 მილიონი ამერიკული დოლარია, მე-3 ადგილს პოლონეთი იკავებს 9.04%-იანი წილით. რაც 189.84 ამერიკულ დოლარს შეადგენს, მე-4 ადგილს იკავებს ამერიკის შეერთებული შტატები 8.81%-იანი წილით(184.96 მილიონი აშშ დოლარი), მე-5 ადგილზეა მალაიზია 6.07%-იანი წილით (127.39 აშშ დოლარი), მე-6 ადგილზეა გერმანია 5.87%-ით (123.29 აშშ დოლარი), მე-7 ადგილზეა ჩინეთი 5.66%-ით (118.72 აშშ დოლარი), მე-8 ადგილზეა ესპანეთი 4.77%-ით 1(00.12 აშშ დოლარი), მე-9 ადგილზეა იაპონია 2.54%-ით (53.37 აშშ დოლარი) და მე-10 ადგილზე ბელგია 2.48%-ით (52.06 მილიონი აშშ დოლარი).

მსოფლიო ექსპორტის ბოლო 5 წლის მონაცემებით თურქეთის ექსპორტში -14.59%-იანი კლება აღინიშნება, თუმცა 2021 წლის ექსპორტის რაოდენობა წინა წელის ექსპორტს 26.41%-ით აღემატება. ასევე, ბოლო 5 წლის მონაცემებით კლება აღინიშნება გერმანიის (-23.3%), პოლონეთის (-2.57%) და ბელგიის(-16.66%) ექსპორტში. ამერიკის შეერთებული შტატების ბოლო 5 წლის ექსპორტში საკმაოდ მაღალი 83.81%-იანი ზრდა ფიქსირდება, ასევე მაღალი ზრდა ფიქსირდება ესპანეთისა (141.06%) და იაპონიის (561.97%) ექსპორტებში.

ცხრილი N15. ქათმის კვერცხის ყველაზე მაღალი ექსპორტის მქონე ქვეყნები

	ქვეყანა	წილი ექსპორტში 2021	ექსპორტის ღირებულება	1 წლიანი ზრდა ექსპორტის ღირებულებაში 2020-2021	3 წლიანი ზრდა ექსპორტის ღირებულებაში 2018-2021	5 წლიანი ზრდა ექსპორტის ღირებულებაში 2016-2021
1	ნიდერლანდები	24.56%	$ 515.42 მლნ	10.39%	-1.96%	3.7%
2	თურქეთი	10.12%	$ 212.39 მლნ	26.41%	-39.91%	-14.59%
3	პოლონეთი	9.04%	$ 189.84 მლნ	-17.53%	-23.53%	-2.57%
4	აშშ	8.81%	$ 184.96 მლნ	59.34%	39.09%	83.81%
5	მალაიზია	6.07%	$ 127.39 მლნ	8.12%	-8.87%	23.54%
6	გერმანია	5.87%	$ 123.29 მლნ	-10.71%	-22.7%	-23.3%
7	ჩინეთი	5.66%	$ 118.72 მლნ	13.33%	7.9%	1.02%
8	ესპანეთი	4.77%	$ 100.12 მლნ	-0.91%	7.21%	141.06%
9	იაპონია	2.54%	$ 53.37 მლნ	24.33%	277.81%	561.97%
10	ბელგია	2.48%	$ 52.06 მლნ	-18.07%	-27.52%	-16.66%

წყარო: tridge.com

რაც შეეხება ქათმის კვერცხის იმპორტს, ყველაზე დიდი რაოდენობით იმპორტს გერმანია ახორციელებს და 2021 წელს მისმა იმპორტმა 514.95 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქათმის კვერცხის მსოფლიო იმპორტის 23.79%-ია. თუმცა,გერმანიის იმპორტის ბოლო 5 წლის მონაცემებით იმპორტში -12.98%-იანი კლება შეინიშნება. განსაკუთრებით დიდი ზრდა აღინიშნება სამხრეთ კორეის იმპორტის ბოლო 5 წლის მონაცემებში სადაც 525236.96%-იანი ზრდა ფიქსირდება, ხოლო 2021 წლის მონაცემებით მსოფლიო იმპორტიორ ქვეყნებში იგი მე-9 ადგილს იკავებს. ასევე, განსაკუთრებით დიდი ზრდა ფიქსირდება მექსიკის იმპორტის ბოლო 5 წლის მონაცემებში, რაც 251.77%-ს შეადგენს, არაბთა გაერთიანებული საამიროებისიმპორტში 59.03% ზრდა ფიქსირდება, ბელგიის იმპორტში 46.93%-იანი ზრდა და ჰონგ-კონგის მონაცემებში 40.6%-იანი ზრდა.

ცხრილი N16. ქათმის კვერცხის ყველაზე მაღალი იმპორტის მქონე ქვეყნები

	ქვეყანა	წილი ეიმპორტში 2021	იმპორტის ღირებულება 2021 აშშ დოლარი	1 წლიანი ზრდა იმპორტის ღირებულებაში 2020-2021	3 წლიანი ზრდა იმპორტის ღირებულებაში 3018-2021	5 წლიანი ზრდა იმპორტის ღირებულებაში 2016-2021
1	გერმანია	23.79%	$ 514.95 მლნ	-8.4%	-23.08%	-12.98%
2	ნიდერლანდები	11.74%	$ 254.14 მლნ	-1.66%	3.73%	25.14%
3	ჰონგ-კონგი	10.89%	$ 235.64 მლნ	10.91%	13.79%	40.6%
4	სინგაპური	5.4%	$ 166.82 მლნ	-7.31%	-0.7%	13.39%
5	გაერთიანებული არაბთა ემირატები	4.85%	$105 მლნ	15.89%	29.26%	59.03%
6	ბელგია	2.96%	$ 64 მლნ	-14.33$	0.53%	46.93%
7	მექსიკა	2.4%	$ 51.88 მლნ	7.48%	1002.14%	251.77%
8	შვეიცარია	2.18%	$ 47.23 მლნ	0.78%	6.96%	12.02%
9	სამხრეთ კორეა	1.89%	$ 41 მლნ	128881.67%	106934.17%	525236.96%
10	საფრანგეთი	1.83%	$ 39.56 მლნ	-20.06%	-26.39%	-11.6%

წყარო: tridge.com

დასკვნა

2019-2021 წლების სასურსათო კვერცხის იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების მონაცემების შეფასების შედეგად იკვეთება, რომ ადგილობრივი წარმოება თითქმის სრულად აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას პროდუქტზე. 2019-2021 წლების პერიოდში, იმპორტის წილი საქართველოში კვერცხის მოხმარების მიმართულებით კლებადი ტენდენციით ხასიათდება და ძალიან მცირეა.

ადგილობრივი ინდუსტრიისა და იმპორტირებული პროდუქტის ფასების შედარების საფუძველზე კი იკვეთება, რომ 2019-2021 წლებში, იმპორტირებული კვერცხის ღირებულება მნიშვნელოვნად, დაახლოებით 50% დაბალია ადგილობრივი წარმოების კვერცხის ფასზე. იმპორტირებული კვერცხის ასეთი დაბალი ფასის მიუხედავად, ადგილობრივი წარმოების პროდუქტის საშუალო ღირებულება ამ პერიოდში არ შემცირებულა. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ 2019-2021 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული პროდუქტის ფასი ზრდადია და ამ პერიოდში 40%-ით არის გაზრდილი, შეიძლება ითქვას, რომ დაბალ ფასებს არც ადგილობრივი წარმოების კვერცხის ფასების ზრდა შეუფერხებია.

ანგარიშის მესამე ნაწილი დაეთმო ადგილობრივ ინდუსტრიაზე არსებული გავლენების ანალიზს, რომლის საფუძველზეც ვლინდება, რომ კომპანიების საქმიანობაში უარყოფითი ტენდენცია მხოლოდ 2021 წელს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, პროდუქტის გაყიდვების მოცულობის 12%-იან კლებაში ფიქსირდება. ამ პერიოდში, ასევე, უარყოფითია იმპორტის მოცულობის ტენდენციაც და ბაზარზე იმპორტირებული კვერცხის რაოდენობა 52%-ით არის შემცირებული. **აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წლის ადგილობრივი ინდუსტრიის პროდუქტზე მოთხოვნის შემცირება მთლიანად ბაზარზე არსებული მოხმარების შემცირებასთან არის დაკავშირებული.**

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ **მიუხედავად აღნიშნული კლებისა, 2019-2021 წლებში სტაბილურად მზარდია ადგილობრივი კომპანიების მიერ კვერცხის გაყიდვებით მიღებული შემოსავლები.** ეს ზრდა, თავის მხრივ, კვერცხის საშუალო ღირებულების მატების შედეგია. ასევე, დადებითია სექტორში დასაქმებულთა და მათი ხელფასების ზრდის მაჩვენებლები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული მონაცემების მიხედვით, **იკვეთება ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების დადებითი ტენდენცია.** ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით, იმპორტირებული პროდუქტის დაბალი ფასის მიუხედავად, ბაზარზე მისი წილი იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი ვერ შეფასდება საკმარისად ადგილობრივი ინდუსტრიისთვის ზიანის მიყენებისათვის.